რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 124/თ

„02“ მარტი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის, 36-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №17-ით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი“-ს მე-5 მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით - ინფორმაციის თავისუფლების შესახებ - გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ დადგინდეს:

   ა) რუსთავის საქალაქო სასამართლოში - რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***მაია იასეშვილი;***

   ბ) გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში - რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტი - IV რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ***დიანა ბენაშვილი;***

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს;

3. ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 02 მარტიდან;

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის თაობაზე“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 16 იანვრის №11/თ ბრძანება.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე